უფალი ყველაზე ახლოს არის თავის მონასთან ღამის ბოლო ნაწილში

გადმოცემულია აბუ უმამასგან (ალლაჰის იყოს მისით კმაყოფილი), რომ ამრუ იბნ აბასათამ (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) მიამბო, მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ამბობდა: «უფალი ყველაზე ახლოს არის თავის მონასთან ღამის ბოლო ნაწილში. და თუ შეძლებ, გახდე იმათგან ერთ-ერთი, ვინც ამ დროს ალლაჰს იხსენებს, მაშინ იყავი».

[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა აბუ დაუდმა, ალ-თირმიზიმ და ალ-ნასაიმ]

მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვამცნო, რომ ყოვლისშემძლე უფალი ყველაზე ახლოს არის თავის მონასთან ღამის ბოლო მესამედში. და თუ შენ, მორწმუნევ, შეძლებ და გექნება შესაძლებლობა, იყო იმათგან, ვინც ამ დროს ალლაჰს ეთაყვანება, ლოცულობს, იხსენებს ალლაჰს და სინანულს გამოხატავს, მაშინ ეს შესაძლებლობა უნდა გამოიყენო და გამოიჩინო მასში გულმოდგინება.

http://sunnah.global/hadeeth/ka/show/3236